

# სიღნაღის მუზეუმი გამოფენას „კახედ დიდგვაროვანთა პორტრეტები“ მასპინძლობს



საპარტიკულო ეროვნული მუზეუმი • სიღნაღის მუზეუმი  
GEORGIAN NATIONAL MUSEUM • SIGHNAGHI MUSEUM

კახელ დიდგვაროვანთა  
პორტრეტები

ძველი დროის ფერწერის დასაწყისიდან  
XX საუკუნემდე

21.06-21.09  
2018

PORTRAITS OF KAKHETIAN  
NOBLES

FROM THE BEGINNING OF GEORGIAN EASEL PAINTING  
UP TO 20<sup>TH</sup> CENTURY



სიღნაღის მუზეუმი  
გამოფენას „კახედ  
დიდგვაროვანთა  
პორტრეტები –  
ქართული დაზგური  
ფერწერის  
დასაწყისიდან XX  
საუკუნემდე“  
მასპინძლობს.

გამოფენაზე წარმოდგენილია 44 ფერწერული ნამუშევარი – სამეფო კარის წარმომადგენელთა პორტრეტები, ტფილისური პორტრეტული სკოლის ნიმუშები, ასევე ქანდაკება და მინიატურა. სტუმრები ექსპოზიციაზე იხილავენ კახელი დიდგვაროვნებისა და ისტორიული პირების პორტრეტებს: ერეკლე II, დარეჯან დედოფალი, ვახტანგ ბატონიშვილი, უცნობი ბატონიშვილი, თავადი ვახტანგ დიმიტრის ძე ჯანბაკურ-ორბელიანი, თევდო ბატონიშვილი და დავით გურამიშვილი, ასევე ყაჯარული ფერწერის ნიმუშები – ანდრონიკაშვილების პორტრეტები და სხვა.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი მასალა ასეთი ინტერპრეტაციითა და მასშტაბით პირველად გამოიფინა. მათი გარკვეული ნაწილი უცნობია ფართო საზოგადოებისთვის. აღსანიშნავია, რომ ექსპონატებს ჩაუტარდა სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები, დიდი ნაწილი განთავსდა ავთენტურ ჩარჩოებში.

საქართველოში პირველი დაზგური სურათები ზეთის საღებავებით შესრულებული მეფეთა და სამეფო კარის წარმომადგენელთა პორტრეტებია. უმეტესი მათგანი საკმაოდ დიდი ზომისაა და ხერმეოუნერეია. მხატვრულ-სახეობრივი წყობის საზეიმო ხასიათი და

ფორმალურ-კომპოზიციური მხარე მათ ტრადიციულ, ევროპული „კარის პორტრეტის“ ჟანრთან აკავშირებს. ამ ჟანრის საერთო თავისებურების მიუხედავად, ეს პორტრეტები შესრულების განსხვავებული მანერით ხასიათდება, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს სხვადასხვა მხატვრის ხედწერაზე, ევროპასა და რუსეთთან საქართველოს მხატვრული ურთიერთობის განსხვავებულ გზებზე, რის შედეგადაც დასავლური ხელოვნების გავლენები საქართველომდე აღწევდა.

XIX ს-ის პირველი ათწლეულიდან ყალიბდება ე.წ. ტფილისური პორტრეტული სკოლა, რომელიც 60-70-იან წლებამდე არსებობს. ამ მცირე ზომის პორტრეტებზე თავად-აზნაურები და ახარფეხადგმული ბურჟუაზიის წარმომადგენლები არიან გამოსახული. აქ ევროპული ორიენტაცია ადვილს უთმობს შუა საუკუნეების ქართული ფერწერის ძლიერ გავლენას. იგრძნობა ირანული მხატვრობის გავლენის კვადიც (მინიატურა, ყაჯარული პორტრეტი).

შესაძლოა, რომ XIX ს-ის დასაწყისში ამ სრულიად ორიგინალური ხასიათის პორტრეტული მხატვრობის გაჩენა ეხმიანებოდა ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ სინამდვილეს. საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვამ და, აქედან გამომდინარე, წოდებრივი უფრებებისა და ჩვეული ტრადიციების გაქრობამ ქართველ თავადთა შორის წარსულის ნოსტალგია გამოიწვია, რამაც დიდი გამოძახილი ჰპოვა ამ პერიოდის ფერწერაშიც.

გამოფენა ეძღვნება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ახალი და თანამედროვე ხელოვნების კოლექციების მთავარი კურატორის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ ირინა არსენიშვილის 75 წლის იუბილეს.